ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

13 მარტი, ოთხშაბათი. 1991 წ. № 45 (10 458) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღევანდელობას რომ ესადაგება...

შარშან, 28 დეკემბერს, „სპორტულმა ქუთაისმა" მკითხველებს აუწყა, რომ გადაწყდა შექმნილიყო ქალაქის სპორტსმენთა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა, ვეტერანთა, სპორტის მოყვარულთა კავშირი, რომელიც თავისი საქმიანობის უმთავრეს მიზნად დაისახავდა რიონისპირელთა მდიდარი სპორტული ტრადიციების აღორძინება-განმტკიცებას, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას...

წესდების პროექტმა მართლაც ცხოველი ინტერესი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და საქმიანი კამათი გამოიწვია. ეს ცხადად დაადასტურა ახლახან ქუთაისის მწერალთა კავშირის კლუბში გამართულმა შეხვედრამაც: აქ მრავლად მოვიდნენ სპორტსმენები, ამ სფეროში დასაქმებული მუშაკები. ვეტერანები — ყველა, ვისთვისაც ძვირფასია და ახლობელია ქართული სპორტი. შეკრებაზე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ასეთი კავშირის შექმნის აუცილებლობა: მცირეოდენი შესწორების შემდეგ წესდების პროექტი ერთხმად მიიღეს. კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი ლევან ახვლედიანი.

დასასრულ, ერთხმად მიიღეს მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი, რომელშიც ნათქვამია:

„ახალშექმნილი სპორტსმენთა დამოუკიდებელი კავშირი, როგორც ეროვნული ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განუყოფელი ნაწილი, შექმნის დღიდანვე აღიარებს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უზენაესობას. მუდამ იბრძოლებს მისი იდეების განსახორციელებლად და საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

საქართველოს სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, სრული პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტისაკენ ითვალისწინებს კონტაქტების გაღრმავება-განვითარებას სხვა ქვეყნებთან, ეს მისია, ბუნებრივია, ქართველმა სპორტსმენებმაც უნდა იტვირთონ — სპორტი ხომ მშვიდობის დესპანიცაა. სწორედ ამიტომაც გვჭირდება გონებრივად, სულიერად და ფიზიკურად გამოწრთობილი ახალგაზრდობა. ახლა, როცა წყდება ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის ბედი, ჩვენ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მოღვაწენი, მოვუწოდებთ ყველას: გულთან ახლოს მივიტანოთ ქართული სპორტის განვითარებისა და გაძლიერების საქმე".

სპორტულ ჟურნალისტთა შეკრება

სპორტულ ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნის საკითხს მიეძღვნა სპორტულ ჟურნალისტთა გუშინდელი შეკრება. ამ თემაზე გაზეთ „სარბიელში" წამოწყებულ საუბარს გამოეხმაურნენ სხვა გაზეთები, მათ შორის „ლელო".

ჟურნალისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნა დროის მოთხოვნითაა ნაკარნახევი და ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა დამოუკიდებელი დამფუძნებელი კონფერენციის მომზადება-ჩატარებას.

რეფერენდუმის წინ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა საერთო-სახალხო საქმეა!

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ერთხმად ვუჭერთ მხარს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას და უკლებლივ გამოვცხადდებით რეფერენდუმზე 31 მარტს.

17 მარტის რეფერენდუმში არ მივიღებთ მონაწილეობას.

ომარ გოგიაშვილი,
ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი.

უარი 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმს.

ყველამ ერთსულოვნად მივიღოთ მონაწილეობა 31 მარტის რეფერენდუმში და ხმა მივცეთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენას — ასეთია ჩვენი სპორტსაზოგადოების მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების გადაწყვეტილება.

ვაჟა შუბლაძე,
სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

პრეფექტი დაინტერესდა

ახლო წარსულში ხობის სპორტული ბაზები ერთ-ერთი საუკეთესო იყო რესპუბლიკაში. ეს ბაზები არაერთ საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკურ შეჯიბრებასა და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას მასპინძლობდა.

გავიდა დრო, ბაზები სარემონტო გახდა. უკვე შეკეთდა საცურაო კომპლექს „იმედის" საბავშვო აუზები და ახლა მეცადინეობა სისტემატურად ტარდება. სამწუხაროდ, დიდი აუზი (50X25 მ) რემონტს მოითხოვს და დღემდე უმოქმედოდაა.

იგივე მდგომარეობაა სპორტდარბაზ „მართვეში". იქ იატაკი მთლიანად გამოსაცვლელია, მისი შეკეთება, მართალია, კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ მასალების უქონლობის გამო, საქმე შეჩერებულია.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის პრეფექტს თენგიზ ქაჯაიას მრავალი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი, იგი დაინტერესდა შექმნილი მდგომარეობით, დაათვალიერა სპორტული ბაზები და ესაუბრა სპორტის ხელმძღვანელებს. პრეფექტმა აღუთქვა მათ დახმარება, რათა სპორტული ბაზები კვლავ ჩადგეს ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში.

ანზორ სანიკიძე,
ხობის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

რუბრიკით:

რა გაჭირს, ჩემპიონო?

დღეს მკითხველი „ლელოს" ფურცლებზე შეხვდება სახელოვან ჩოგბურთელს ლელა მესხს

- ● ახლა მე ჩემი თავის ბატონ-პატრონი ვარ
- ● ყველას დამარცხება შეიძლება
- ● ბარსელონაში ოლიმპიადაზე საქართველოს რესპუბლიკის სახელით

ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე საუბრობს „ლელოს" კორესპონდენტთან ლელა მესხი (იხ. მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც ვერცხლის თასი!

მხოლოდ ერთი ყაიმი ლატვიელებთან, დანარჩენ შეხვედრებში გამარჯვება და 28 შესაძლებლიდან 24 ქულა — ასეთი შედეგით დაამთავრეს ასუჯრიან შაშში ტალინის საერთაშორისო ტურნირი საქართველოს წარგზავნილებმა.

ბრწყინვალე თამაშმა ჩვენს მოთამაშეებს პირველი ადგილი მოუტანა, ტურნირის შემადგენლობა კი მართლაც ძლიერი იყო. საქართველოს წარგზავნილებმა მოსკოვის პირველი ნაკრები დაამარცხეს 3,5:1,5, მოსკოვის მეორე ნაკრებთან, ესტონეთის მეორე ნაკრებთან, პოლონეთის გუნდთან და ტალინის ნაკრებთან გაიმარჯვეს ერთნაირი ანგარიშით — 4:0, ესტონეთის პირველ ნაკრებს სძლიეს 2,5:1,5. ლატვიელებთან შეხვედრა, როგორც ვთქვით, ყაიმით დამთავრდა — 2:2. მეორე ადგილზე სწორედ ლატვიელები გავიდნენ. მესამე იყო ესტონეთის ნაკრები. მთავარი პრიზი — ვერცხლის თასი — ქართველებს ხვდათ. ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: სპორტის ოსტატი მადონა შალამბერიძე, ოსტატობის კანდიდატები, დიანა ავადია, მამუკა ქავზინიძე და კახა ქელდიშვილი (მწვრთნელი თენგიზ რეხვიაშვილი).

საქართველოს ნაკრები პოლონეთში მიიწვიეს ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. ეს შეხვედრა წლეულს შემოდგომაზე გაიმართება.

სერგო თომაშვილი,
საქართველოს შაშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

თქვენ საგზური მოიგეთ, მიაკითხეთ სპორტის სასახლეში

თბილისის სპორტის სასახლეში 1990 წლის 25 ნოემბერს გამართულ სპორტულ ღონისძიებაზე მაყურებელთა შორის გათამაშდა საზღვარგარეთის ქვეყნების საგზურები. სპორტის სასახლის დირექცია იტყობინება იმ პირთა სიას, ვინც ეს საგზური მოიგო:

არსენ გიორგის ძე ტატიაშვილი (მისამართი: დიღმის მასივი, VI კვ. 22-ბ კორპ.);

რამაზ სერგოს ძე ზედგინიძე (რუსთავი, თოდრიას, 7 ბ, 48);

ელსევარ ისრაილოღლი ისმაილოკი (განჯა);

ოთარ დავითის ძე ხაჩიძე (ხაშური, სოფ. ნაცარგო);

ა. ს. მასურიშვილი („გრუზსელმაშის" დასახლება VIII კორპ. ბ. 65);

ა. ნ. როჭიკაშვილი (საგარეჯო, სოფ. ნინოწმინდა);

გ. მ. ლელაშვილი (კასპი, სოფ. ხოვლე);

ვ. გ. წიწკინაშვილი (გორი, სოფ. ქვახვრელი).

გვარები და მისამართები ნაჩვენებია ისე, როგორც სპორტის სასახლიდან მიღებულ განცხადებაშია აღნიშნული. ზემოთჩამოთვლილი პირები უნდა გამოცხადდნენ სპორტის სასახლის დირექციაში.



ტრადიციისამებრ, საკავშირო ასპარეზობის მონაწილე ველოსიპედისტები გაზაფხულის სტარტებზე შეიკრიბნენ სოხუმში. ორასზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა წრიულ რბოლა-კრიტერიუმში 70 კილომეტრზე. როგორც შარშან, სეზონის გახსნის თასის მფლობელი გახდა ესტონელი სპორტის ოსტატი პეეპ მიკლო.

• • •

სურათებზე: ველოსიპედისტთა საგაზაფხულო სტარტები სოხუმში. 70 კილომეტრიანი წრიული რბოლა-კრიტერიუმში გამარჯვებული ესტონელი პეეპ მიკლო.

ირაკლი ჭოხონელიძის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხუმრობის გარეშე...

დავარქვათ სიდედრების ჩემპიონატი

ინტერესით გავეცანი „ლელოში" გამოქვეყნებულ წერილებს 60 წელს გადაცილებული ქალებისათვის ნარდში საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების შესახებ. შესანიშნავი თაოსნობაა, მსურველი მართლაც ბევრი იქნება. მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციას, რომელიც ამ შეჯიბრებას ატარებს და ნარდის რესპუბლიკურ ფედერაციას მივმართავ თხოვნით, დავარქვათ ამ შეჯიბრებას სიდედრების ჩემპიონატი. ეს გაახალისებს ასპარეზობას და, სრული სერიოზულობით ვაცხადებ, დიდ ინტერესსაც გამოიწვევს. მაქვს მეორე წინადადება: საპრიზო ფონდი შექმნან სიძეებმა — დადოს თითოეულმა 50 მანეთი და ეს მთელი თანხა, გაინაწილონ სიდედრთა შორის ყველაზე ღირსეულებმა, რომლებიც ჩემპიონატის ლაურეატები გახდებიან.

სიტყვა თქვენზეა, სიძეებო!

პატივისცემით,
გოდერძი ჭანტურია.
თბილისი.

რა გიჭირს, ჩემპიონო?

„....და არასოდეს მივატოვებ!" ანუ შამპანური კი მოიცდის

სხვისა არ ვიცი, მე კი ამერიკის შარშანდელ ღია ჩემპიონატის მერვედფინალურ მატჩში ჩვენი ლელა მესხისა და არგენტინელი გაბრიელა საბატინის შეხვედრა კარგად დამამახსოვრდა. თვით მატჩის პერიპეტიები იმდენად არა, რამდენადაც ქართველი ჩოგბურთელის ქალური იერი, რომელიც, დაძაბული ორთაბრძოლის მიუხედავად, მას არ დაუკარგავს. ლელას მიმიკა და ჟესტიკულაცია სინაზით იყო გაჯერებული. ვინც ჩოგბურთელთა ეს „დუელი" ნახა, დამეთანხმება — ამ შეხვედრას არც დრამატიზმი აკლდა, არც მსაჯთა ტენდენციურობა. მით უმეტეს, არც გამარჯვების ჟინი. ამ დაძაბულობის მკაცრ ფერადოვნებაში კი ციცინათელასავით გაკრთებოდა ხოლმე ლელას ერთი ციდა საყურეები და ძეწკვი, რომელსაც თითქმის ყოველი შეტევის მოგერიების შემდეგ ისწორებდა და მაყურებელს მოედანზე უპირველესად ჯერ ქალს დაგანახვებდა. შემდეგ კი — უძლიერესის სახელისათვის მებრძოლ სპორტსმენს.

ქართველი გულშემატკივრები დიდად არ ვართ განებივრებულნი ჩვენი ჩოგბურთელი ქალის შეხვედრების ტელეტრანსლაციით, ვერც ვიდეოჩანაწერების სიუხვით დავიკვეხნით, ეს შეხვედრაც ამიტომ აღმებეჭდა მეხსიერებაში, იგი ჩემთვის ლელა მესხის ფენომენის აღმოჩენად იქცა: კორტზე დავინახე ის, ვინც და რაც არის ეს ახალგაზრდა ქალი ცხოვრებაში. ამიტომ გამიხარდა, ლელამ ამ მატჩის ვიდეოჩანაწერის ჩვენება რომ შემომთავაზა — ასეთი იშვიათი შანსი ინტერვიუსთვის ხომ შეიძლებოდა არასოდეს მომცემოდა.

● ახლა, როდესაც თვალს ადევნებთ საკუთარ თავს ასპარეზობისას, ალბათ, შეცდომებსაც უფრო ცხადად ხედავთ. მაინც რა იყო დამარცხების მიზეზი? მართლა უხერხული მეტოქეა თქვენთვის საბატინი?

— უხერხულ მეტოქეს ვერ დავარქმევ. საერთოდ, ასეთად არავინ მეგულება. ყველას დამარცხება შეიძლება, რაც უნდა ძლიერი და განთქმული იყოს. უბრალოდ, საბატინი, გრაფი, მალეევა, სელეში და სხვა ვარსკვლავები, ისეთი ოსტატები არიან, რომლებთანაც თამაში სიამოვნებას მანიჭებს.

ამ შემთხვევაში მატჩის ბედი ძირითადად მსაჯებმა გადაწყვიტეს, მე რამდენჯერმე დავწინაურდი, მაგრამ არბიტრები ძალიან არაობიექტურად სჯიდნენ შეხვედრას. აი, ხედავთ, ვეკამათები, კიდეც. შენიშნეთ, რამხელა აუტი იყო? კომენტატორს მოუსმინეთ — იშვიათად, რომ იქ მათ მსაჯის გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილება გამოხატონ, ახლა კი აღშფოთებულნი არიან და არც მალავენ.. შეხვედრის მეორე დღეს ნიუ-იორკის ქუჩებში ხალხი მხვდებოდა და მილოცავდა, რომ მე შევძელი ასეთი უსამართლობის ატანა.

● ალბათ ამ უსამართლობამ შეხვედრის დროს მაინც იქონია ფსიქოლოგიური ზეგავლენა თქვენზე.

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა. თითოეულ დაკარგულ ბურთს საოცრად უემოციოდ ვხვდებოდი, თუმცა, რამდენჯერმე მსაჯებმა მართლაც „გამაკაპასეს". მატჩის შემდეგ მხოლოდ სასტუმროში მოვეგე გონს, მივხვდი, რომ ყველაფერი დაკარგული იყო და ტირილი დავიწყე.

— თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, როდესაც ვიდეოჩანაწერს უყურებდა, — ჩაერია საუბარში ლელას მეუღლე პავლე ნადიბაიძე, — წამოწითლდა და ოფლმა დაუცვარა სახე. რა მოგივიდა-მეთქი. ვკითხე. ახლა რომ მქონდეს ეს შეხვედრა სათამაშო, აუცილებლად მოვიგებდიო.

● მსაჯების უსამართლობა ჩვენში გვიკვირს. და უცხოეთში რატომ ხდება ასე?

— მათ სურთ ფინალში თავიანთი ვარსკვლავები იხილონ, ამით მაყურებელსაც მეტს მიიზიდავენ და მოგებაც მეტი ექნებათ. ხომ არის განსხვავება, ფინალში საბატინი ითამაშებს თუ ვილაც მესხი, თანაც საბჭოთა კავშირიდან? გარკვეულ როლს თამაშობს ტოტალიზატორიც.

● ჩვენი საუბარი რატომღაც წარუმატებლობის გახსენებით დავიწყეთ. არადა, შარშანდელი წელიწადი თქვენთვის საკმაოდ იღბლიანი იყო...

— მეც ასე ვთვლი — რაც მსურდა, მივაღწიე: მსოფლიო კლასიფიკაციით ოცდამეათე ადგილიდან მეცხრამეტეზე გადავინაცვლე, თან, რაც უფრო უახლოვდები პირველ ათეულებს, მით უფრო ძნელია წინსვლა. ახალი ზელანდიის ტურნირი შარშან ორჯერ მოვიგე; სასიამოვნო მოგონებად დამრჩება წარმატება საკმაოდ პრესტიჟულ ტურნირში „კრაფტ ჯენერალ ფუდსი" (კრემლის თასზე). ასპარეზობას მოსკოვმა უმასპინძლა, მე პირველ ნომრად ვიყავი განთესილი და გავიმარჯვე კიდეც.

● რამდენადაც მახსოვს, ამ ტურნირის საპრიზო ფონდიც სოლიდური იყო...

— ასი ათასი დოლარი, აქედან, მე თვრამეტი ათასი მერგო.

● ლელა, ჩოგბურთი ხომ სპორტის იმ სახეობებს განეკუთვნება, სადაც, როგორც ამბობენ, ყველაზე მეტი „ფული ტრიალებს". როგორც წესი, აქ თუ ხარ, პროფესიონალი უნდა იყო და არც ფულზე ლაპარაკის უნდა გერიდებოდეს. საბჭოთა კავშირში წლების მანძილზე სირცხვილად ითვლებოდა, თუ სპორტსმენი მატერიალურ დაინტერესებას გამოამჟღავნებდა, ამის ხარჯზე კი საკავშირო სპორტსახკომი საკმაოდ ისქელებდა ჯიბეს უშრომელი შემოსავლით. ალბათ, მსგავსი რამ საკუთარ თავზეც გამოგიცდიათ, ვიდრე პროფესიონალ ჩოგბურთელად გაღიარებდნენ.

— მე იმ პერიოდში გამოვედი ასპარეზზე, როდესაც სპორტსმენებს საზღვარგარეთულ ტურნეში დღეში მხოლოდ ოცდახუთ დოლარს აძლევდნენ. იძულებულნი ვიყავით, ზოგჯერ საჭმელიც სახლიდან „გვეთრია", რათა შეგვძლებოდა სამახსოვრო სუვენირები მაინც ჩამოგვეტანა ახლობელ-მეგობრებისთვის. სწორად შენიშნეთ, ჩოგბურთი ის სპორტია, სადაც ძალიან დიდი თანხა ტრიალებს. ჩვენ კი, თუ რვა საუკეთესო ჩოგანს შორის მოვხვდებოდით, რომელი ადგილიც უნდა დაგვეკავებინა, რვაას დოლარს გვაძლევდნენ, ეგ იყო და ეგ. დანარჩენი სად მიდიოდა, კაცმა არ იცის. თავიდან, გვერიდებოდა ფულზე ლაპარაკი. პირველმა ხმა ზვერევამ აღიმაღლა. ნატალია საკმაოდ გაჭირვებული ოჯახიდან არის და, ალბათ, ამანაც გაბედვინა. იცით, რა დამამცირებელია, ასი ათასს რომ მოიგებ და რვაას დოლარს უნდა დასჯერდე? სახალხოდ გვძარცვავდნენ და მაინც ჩუმად უნდა ვყოფილიყავით. არადა, ჩვენ ხომ ისევე ვშრომობთ, როგორც ყოველი თქვენთაგანი, ყველა ნორმალური ადამიანი. ეს არის ჩვენი საქმიანობა და ამით ვსაზრდოობთ. ზვერევას მე და ლარისა სავჩენკოც აგვყევით და ასე გავხდით პირველი პროფესიონალი სპორტსმენები საბჭოთა კავშირში სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენელთაგან.

● თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც „ცენტრთან" კავშირი გაწყვიტეთ, და პარტნიორად საქართველოს დამოუკიდებელი სპორტსაზოგადოება „შევარდენი" აირჩიეთ. თუ საიდუმლო არ არის, როგორ ანაწილებთ თქვენს თანხებს?

— საზღვარგარეთულ ტურნირებში მონაწილეობისას მიღებული თანხის ოცდაათ პროცენტს გადასახადს ვიხდი (გარდა ახალ ზელანდიაში გამართული ტურნირებისა, სადაც ოცი პროცენტია გადასახადი), ვიდრე მოსკოვთან კავშირს გავწყვეტდი, ოცდათხუთმეტი პროცენტი საკავშირო სპორტსახკომს მიჰქონდა (ამასაც ძლივს მივაღწიეთ, თავიდან დარჩენილი თანხის 50 პროცენტს გვართმევდნენ. ერთი იყო, ყველა ხარჯს, „ცენტრი" თავის თავზე იღებდა. ამჟამად, მთელი სახსრები ჩემს ხელთაა, დაწესებული გადასახადის გარდა, მოგებული თანხის ათ პროცენტს ფირმა „ედვანატეჩს" ვუხდი. რომელიც სამაგიეროდ, უზრუნველყოფს ჩემი ყოველგვარი პრობლემის მოგვარებას საზღვარგარეთ, იქნება ეს სასტუმრო თუ სხვა. ათი პროცენტი ეკუთვნის სპორტსაზოგადოება „შევარდენს", რომელიც თვეში 500 მანეთ ხელფასს მაძლევს, მეხმარება მგზავრობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. მეტსაც გადავუხდიდი ამ ჭეშმარიტად ეროვნულ საზოგადოებას, მაგრამ ბილეთებს ვალუტით ვყიდულობ და ეს საკმაოდ დიდ თანხას მოითხოვს. დარჩენილი ფულიდან კი, რაც მოგებული საპრიზო ფონდის 50-60 პროცენტს შეადგენს, მწვრთნელებს ვუხდი ხელფასს, ვმგზავრობ, შემიძლია, უცხოეთში ტურნირებზე ახლობლებიც წავიყვანო. ჩემი მეუღლე ყოველთვის თან მახლავს ასპარეზობებზე. წლეულს შესაძლებლობა მომეცა მამაც წამეყვანა. ასე რომ, როცა შენი თავის ბატონ-პატრონი ხარ, რაც უნდა ძვირი ღირდეს ყველაფერი, მაინც მოგებული რჩები...

● ლელა, ერთხელ თქვენ აღნიშნეთ, რომ წარმატება მაშინ უფრო გახარებთ, როცა თავს კარგ ფორმაში ვერ გრძნობთ. ალბათ, ასე იყო ახალი ზელანდიის წლევანდელ საერთაშორისო ტურნირზეც...

— ახალ ზელანდიაში წარმატება უფრო იმიტომ გამიხარდა, რომ ეს იყო პირველი ტურნირი, სადაც დამოუკიდებლად საქართველოს სახელით გამოვდიოდი და ნამდვილად არ მინდოდა შინ ხელცარიელი დავბრუნებულიყავი. წასვლამდე მე და პავლეს ერთი კურიოზი შეგვემთხვა: მოსკოვში დაჯავშნილი ბილეთები აღარ მოგვცეს, კომპიუტერიდან თქვენი ფული მოიპარესო. ახალი ბილეთები უნდა შეგვეძინა, 22 იანვარი იყო. იმ ღამეს ფულის გამოცვლა გამოაცხადეს, არადა, სულ ასმანეთიანები გვქონდა თან, მგზავრობისთვის უფრო მოსახერხებელია თითქოს. დიდი ნერვიულობის შემდეგ შევძელით ბილეთების ხელახლა ყიდვა და ახალ ზელანდიაში გაფრენა.

● ლელა, გაზეთები იუწყებოდნენ, რომ საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დირექტორის ბატონ კახი ასათიანის პირველი სტუმარი თქვენ იყავით. ვიზიტის მიზეზი?

— დახმარება ვთხოვე სავარჯიშო პირობების შექმნაში. ვარჯიში დღეში ორჯერ მჭირდება და იქნებ კორტი ნერვიულობის გარეშე დამეთმოს-მეთქი, ბატონი კახი თავად სპორტსმენი იყო, იცის ჩვენი რთული ცხოვრების ავ-კარგი, ადვილად გამიგო და მხარში ამოდგომაც აღმითქვა.

● საზღვარგარეთელ ვარსკვლავებს ალბათ თავიანთი კორტები აქვთ, ამიტომაც შეჯიბრებებზე კარგად ნავარჯიშები, უფრო თავდაჯერებულად გამოიყურებიან. თქვენ თუ ფიქრობთ იმაზე, რომ შეხამ- ლელ[illegible] საკუთარი სავარჯიშო ადგილი?

— ეს ჩემი ოცნებაა. სპორტსაზოგადოება „შევარდენის" [illegible] დაგვპირდა, რომ ადგილს გამოგვიყოფს კორტის მოსაწყობად. უცხოეთიდან მოვიწვევთ კვალიფიციურ მშენებლებს, ოსტატებს, მუშებს. მერე აქ ნორჩი ჩოგბურთელებიც ივარჯიშებენ და ამ სკოლას ლელა მესხის სახელი დაერქმევა. ჩვენთან ჩოგბურთში საშინელი განუკითხაობაა. ტურნირებზე ის დადის, ვისაც პატრონი ჰყავს, ვარჯიშის პირობებსაც მათ უქმნიან. ჩემს სკოლაში ასე არ იქნება. ახლა გერმანელი ნაცნობების დახმარებით ასი ჩოგანი უნდა შევიძინო, მოლაპარაკება დამთავრდა, მალე მივიღებთ ჩოგნებს და იმ ბავშვებს დავურიგებ, ვისაც არ შეუძლია მისი ყიდვა. ჩოგბურთის ნიჭი და თამაშის სურვილი კი აქვთ.

ჩემს სკოლაში ნორჩებს ყველა პირობა ექნებათ ვარჯიშისა და ოსტატებად ჩამოყალიბებისათვის. საკუთარ ცხოვრებას კი მაგალითად გამოვიყენებ.

● ლელა, ამჟამად ბევრს მსჯელობენ ქართველი სპორტსმენების ოლიმპიადებზე დამოუკიდებლად გამოსვლის შესახებ. თან შიშობენ, ვაითუ, ბარსელონის ოლიმპიადაზე ცალკე გუნდად ვერ გამოვიდეთ და სპორტსმენებსაც თავის გამოჩენის შანსი დავაკარგვინოთო. ამაზე რას ფიქრობთ?

— ამ მხრივ მე ყველაზე უკეთ მაქვს საქმე. როგორც ჩვეულებრივ საერთაშორისო ტურნირებში გამოვდივარ დამოუკიდებლად საქართველოს სახელით, ასევე შემიძლია ოლიმპიადაზეც. ოღონდ წლეულს კვლავ ოცეულში უნდა დავრჩე და არც მსოფლიო პირველობაზე შევირცხვინო თავი. კავშირში სავჩენკო პირველ ჩოგნად ითვლებოდა, მე მეორე ვიყავი. მას შემდეგ, რაც ავსტრიაში დავამარცხე, მისი ავტორიტეტი საკავშირო კლასიფიკაციით დაეცა. წელს ზვერევაა პირველი, მე — კვლავ — მეორე. თუ ასე დავრჩი, ბარსელონაში დამოუკიდებლად, საქართველოს სახელით გამოსვლაში ხელს ვერაფერი შემიშლის, რადგან ოლიმპიადისთვის ჩოგბურთელების შერჩევის საკითხს ქვეყნის ასოციაცია ან ფედერაცია კი არა, მსოფლიო ფედერაცია წყვეტს. მოკლედ თუ ყველაფერი ისე იქნა, როგორც ჩვენ გვინდა, ბარსელონაშიც გამოაცხადებენ — ლელა მესხი. საქართველო, თბილისი.

... დაფიქრებული მოვუყვებოდი სვანეთის უბნის დაღმართს. თან ჩვენს საუბარს ვაანალიზებდი. ლელა გამომიტყდა, ისე მაქვს ოჯახი და სახლი მონატრებული, თბილისში რომ ჩამოვდივარ, გარეთ გასვლაც მეზარება, ვარჯიშიდან შინ მოვიჩქარი. ხანდახან ქალური საქმეც ისე მომენატრება, სამზარეულოში ტრიალი ყველაფერს მირჩევნიაო. ახალი ზელანდიის საერთაშორისო ტურნირის მოგების შემდეგ ორჯერ დიდი სამლიტრიანი შამპანურები უჩუქებიათ და ლელა ჯერჯერობით ინახავს, პატარა რომ შეგვეძინება, მაშინ გავხსნითო, ამბობს, განსაკუთრებული აღფრთოვანებით თავისი მომავალი სკოლის შესახებ საუბრობს, სადაც მხოლოდ სამართალი იზეიმებს.

გულნატკენია ლელა. ასეთ სპორტსმენებს უცხოეთში ფიანდაზებს უგებენ, ჩვენში კი... და უცებ გონებაში თითქოს რაღაც განათდა. კადრი გამახსენდა ერთი ქართული ფილმიდან, დედისგან მიტოვებული გოგონა რომ იფიცება, მე გავიზრდები, ბევრ ბავშვს გავაჩენ და არასოდეს მივატოვებო. საოცრად მივამსგავსე ლელა მესხი ქალობას მოწყურებულ ამ გოგონას და ამ წერილის სათაურიც მაშინ დაიბადა.

ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი.

რედაქციისაგან: ინტერვიუში საუბარი იყო აგრეთვე ლელა მესხის პირად მწვრთნელთან გართულებული ურთიერთობის თაობაზე. სარედაქციო კოლეგიამ საჭიროდ არ ჩათვალა, კონფლიქტის სამსჯავროზე გამოტანა, რადგან მიიჩნია, რომ ამ საკითხის მოგვარება შეიძლება. ვფიქრობთ, კომპეტენტური სპორტული ორგანიზაციების დაინტერესებით ყველაფერი გაირკვევა. და თუ გაზეთის ჩარევა მაინც საჭირო გახდა, რედაქცია კვლავ მიუბრუნდება ამ თემას.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ექსტრასენსთან გსურთ შეხვედრა? მობრძანდით!

ამ რამდენიმე ხნის წინათ „ლელოში" გამოქვეყნდა საუბარი ექსტრასენს იური გალდავასთან. რედაქციაში მივიღეთ დაინტერესებული მკითხველის უამრავი წერილი, გვთხოვდნენ გვეცნობებინა მკურნალის მისამართი.

ი. გალდავა მოგზაურობდა რესპუბლიკის გარეთ და ყველას, ვისაც სურდა ამ ექსტრასენსთან შეხვედრა, ვპირდებოდით, რომ მისამართს ვაუწყებდით მოგვიანებით. ვასრულებთ დანაპირებს. იური გალდავა, რომელიც ამას წინათ, საქართველოს ექსტრასენსთა ახალშექმნილ ასოციაცია „ბიოლოგიური ველის" პრეზიდენტად აირჩიეს, **პაციენტებს იღებს თბილისში, მოსხნიკოვის ქუჩაზე № 23-ში (პურის მოედანი, ქარვასლის უკან).** „ბიოველში" მუშაობს რამდენიმე ექსტრასენსი და ექიმი ნევროპათოლოგი. აქ კურნავენ ისეთ ქრონიკულ დაავადებებს, როგორიცაა პირველი და მეორე. სტადიის ჰიპერტონია, და ჰიპოტონია (მაღალი და დაბალი წნევა) ნევროზიული მოვლენები, უძილობა, თავბრუსხვევა, სახსრების და თავის ტკივილები, სხვადასხვა გამოვლენის შიში, რადიკულიტი, ქალური დაავადებები, ყოველგვარი ანთებითი პროცესები, გულის უკმარისობა, ოსტეოქონდროზი, სისხლძარღვთა დაავადებები და ა. შ.

მკურნალობის შედეგად ახალგაზრდავდება ორგანიზმი, ლამაზდება სახის კანი, ქრება ნაოჭები, ელასტიურობას იძენს სისხლძარღვები, ადამიანს ემატება სიმხნევე, ენერგია, ძალა, ხალისი.

„ბიოველში" სამკურნალოდ შეგიძლიათ მიაკითხოთ 10-დან 19 საათამდე, წინასწარი ჩაწერა შეიძლება ტელეფონით 71-40-32. ტელეფონის ამავე ნომერზე დარეკვით შეგიძლიათ ჩაეწეროთ ისინიც, ვისაც აწუხებს თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი და თირკმლის ნეირო ნეფრიტი, გასტრიტი, კოლიტი, ეგზემა, ბუასილი, დაჩირქებული იარები, ძირმაგარა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზადებიან...

„საპრიზო ადგილისათვის ვიბრძოლებთ"

ბათუმის საფეხბურთო კლუბ „ბათუმს" მაშინ ვესტუმრეთ, როცა გუნდი მორიგ საწვრთნელ ვარჯიშს ატარებდა. მიუხედავად სუსხისა, ბიჭებს ხვითქი გადასდიოდათ. ისინი ყურადღებით უსმენდნენ გუნდის მთავარი მწვრთნელის შოთა ჭეიშვილის დარიგებებს. მივხვდით, ვარჯიშის დამთავრებამდე მწვრთნელთან გასაუბრებას ვერ მოვახერხებდით. ამიტომ ისევ კლუბის პრეზიდენტი რევაზ ჩელებაძე დავიმარტოხელეთ.

— იანვარში შევიკრიბეთ და მას შემდეგ ბათუმში ვვარჯიშობთ — გვიამბობს ბატონი რეზო. — უსახსრობის გამო სხვაგან გამგზავრება ვერ შევძელით, საკუთარი ბაზაც არ გაგვაჩნია. ის კი არა და, ბიჭები ძველი ბუცებით ვარჯიშობენ — საზღვარგარეთული, მოგეხსენებათ, ძვირია, ადგილობრივი წარმოებისა კი, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერ ვიშოვეთ. ზოგი იტყვის, თქვენ რომ სპონსორი გყავთ, ნეტავ. ღმერთმა სხვასაც მისცეს. მაგრამ როდემდე უნდა ვიყოთ სხვისი შემყურე, როდემდე უნდა შეგვინახოს საქართველოს ხალხმა სანამსნომ? მადლობის მეტი რა უნდა ვუთხრათ, ბატონ ჯემალ პილვარიას, მაგრამ დროა ჩვენ თვითონაც გამოვიღოთ ხელი. რამდენჯერ დავაყენეთ საკითხი, რომ „დინამოს" სტადიონი კლუბის გამგებლობაში გადმოეცათ და ჩვენ თვითონ მოვუვლიდით მას. აღარც იჯარის გადასახადზე ვიწრუნებდით და დამატებითი შემოსავალიც გვექნებოდა. ეს საკითხი კი არ იქნა და არ გადაწყდა. არ მინდოდა სეზონის დაწყების წინ მეწუწუნა, მაგრამ, რას იზამ, სათქმელი უნდა ითქვას. ისე კი, ჩვენ ვერავითარი სიძნელე ვერ შეგვაშინებს, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი თამაშით გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩეს...

ამასობაში ვარჯიში დამთავრდა და ორიოდ კითხვით გუნდის მთავარ მწვრთნელსაც მივმართეთ.

● **ბატონო შოთა, ჯერ შარშანდელ სეზონზე გკითხავთ...**

— გასული სეზონი ჩვენთვის სასიხარულოც იყო და გულსატკენიც. პირველი ეროვნული ჩემპიონატი წარმატებით დავიწყეთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კარგი ფეხბურთელი გამოგვაკლდა, პირველ წრეში კარგად ვითამაშეთ, და სატურნირო ცხრილის პირველი საფეხური „დავისაკუთრეთ". წარმატებით განვვლეთ, აგრეთვე, ეროვნული თასის გათამაშების რამდენიმე ეტაპიც. აი, მეორე წრე კი... ახლაც ვაანალიზებ იმ წარუმატებლობის მიზეზს. უპირველეს ყოვლისა, პირველი წრის დამთავრების შემდეგ თურქეთში გამგზავრება არ იყო გამართლებული — იქ წვრთნისათვის ნორმალური პირობები ვერ შეგვიქმნეს. მერე იყო და, მოკლე სათადარიგო სკამმაც შეგვახსენა თავი და დაიწყო წარუმატებლობათა სერია. თასის გათამაშების ნახევარფინალში დავმარცხდით და ჩემპიონატშიც საბოლოოდ მხოლოდ მეხუთე ადგილსღა დავჯერდით. თუმცა, ეს უკვე წარსულია, ახლა სხვა მიზნები გვაქვს.

● **რა ცვლილებებია გუნდში?**

— გუნდი დატოვა ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა პაატა მაჭუტაძემ. ძირითადი შემადგენლობის ბირთვი შევინარჩუნეთ. ოზურგეთიდან მოვიწვიეთ პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელი სოსო ნასუაშვილი. უკრაინიდან დაგვიბრუნდა ბათუმელი ნიაზ ბრუნჯაძე. მომავალ სეზონში „ბათუმის" ღირსებას დაიცავენ აგრეთვე ახალბედა ფეხბურთელები: ღლონტი, ხომერიკი, მუჯირი. სამივენი ბათუმელები არიან — სპორტკლუბ „მეგობრობის" და განათლების სამინისტროს საფეხბურთო სკოლის აღზრდილნი.

● **დაბოლოს, ტრადიციული კითხვა — რა მიზნებს ისახავთ მომავალ ჩემპიონატში?**

— განწყობილება საბრძოლოა. ვეცდებით გასული წლის შეცდომები აღარ გავიმეოროთ. ჩვენ საპრიზო ადგილისთვის ვიბრძოლებთ.

მუხრან კობალაძე

იცნობთ „პანი ლორდს"?!

ერთი ჩვეულებრივი გოგონა იყო ირინა ლორთქიფანიძე — კოხტა, ცქრიალა, ანცი. ბათუმში გაიზარდა და ამიტომაც განსაკუთრებით უყვარდა ბათუმური წვიმა, უკაროდა ზღვა, წიგნები, მეგობრები და კიდევ იმ პატარა სპორტულ დარბაზში ყოფნა მოსწონდა, სადაც მხატვრულ ტანვარჯიშს აზიარა დიანა ოროლევამ — შესანიშნავმა მწვრთნელმა და აღმზრდელმა.

დრო გადიოდა, იზრდებოდა გოგო, მატულობდა წარმატებებიც. ჯერ რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა, შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებშიც დაიცვა საქართველოს ღირსება და არაერთხელ დაუკავებია საპრიზო ადგილი. აქტიურ სპორტს რომ გამოეთხოვა, მწვრთნელის ძნელ და რთულ საქმეს შეეჭიდა. ისევ იმ ბავშვობისდროინდელ დარბაზს მიაშურა, სადაც მასავით ანცი და ცქრიალა გოგოები ეგულებოდა. გარჯამ, ფიქრმა, ძიებამ, მოთმინებამ და მომთხოვნელობამ სხვა სიხარული მოუტანა, ამჯერად აღსაზრდელების წარმატებით გამოწვეული. მონდომებას თავისი გაქონდა — მისმა შეგირდებმა დიდ სპორტულ სარბიელზე შეაბიჯეს და პირველი წარმატებებიც იზეიმეს. ირინა ლორთქიფანიძესაც, როგორც მწვრთნელს, სიყვარული და პატივისცემა არ მოჰკლებია. და აი, სულ მალე პოლონეთიდან წინადადება მიიღო — პოლონეთის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელად იწვევდნენ. რა თქმა უნდა, დათანხმდა. გაემგზავრა კიდეც პოლონეთში. „საგზლად", ცხადია, მხატვრული ტანვარჯიშის სიყვარული გაიყოლა და ამ სიყვარულმა პირველი წარმატებაც მოუტანა — მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირებში — საფრანგეთში, იაპონიასა და საბჭოთა კავშირში — მისმა აღსაზრდელებმა წარმატებით იასპარეზეს. შემდეგ კი ბელგიაში გამართულ თასის გუნდურ გათამაშებაში ირინას შეგირდებმა მეხუთე (იოანა ბოდაკი) და მერვე ადგილები დაიკავეს.

შარშან, ნოემბერში, გეტებორგში მსოფლიო თასის პირად პირველობაში იოანა ბოდაკმა მრავალჭიდში კვლავ მეხუთე ადგილი დაიკავა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იოანას მხოლოდ საბჭოთა და ბულგარელმა ტანმოვარჯიშეებმა გაუსწრეს, ეს მართლაც დიდი წარმატებაა პოლონელთათვის, რომელთაც ასეთი მაღალი ადგილი ქალდენ პრესტიჟულ შეჯიბრებაში მანამდე არასოდეს დაუკავებიათ.

ეჭვი არ არის, გაიხარებდნენ პოლონელები და სულ მალე ახალი პირობები შესთავაზეს ირინას. მან, ამჯერად, როგორც მთავარმა მწვრთნელმა, ბარსელონის ოლიმპიადისათვის უნდა მოამზადოს ნაკრები. არც ახლა უფიქრია დიდხანს. ადამიანს ხომ ყოველთვის აინტერესებს, რა შეუძლია, სად გადის მისი შესაძლებლობების ზღვარი. და აი, ირინა ლორთქიფანიძე კვლავ პოლონეთს მიემგზავრება.

● **ირინა, რამდენი ხანია ბათუმში არ ყოფილხართ?**

— საკმაო დრო. ახლაც სულ ცოტა ხნით ჩამოვედი და...

● **საკავშირო სპორტსახკომში როგორ შეხვდნენ თქვენს მიწვევას? რაიმე წინააღმდეგობა ხომ არ შეგხვედრიათ?**

— თავიდანვე ასეთი წინადადება წამომიყენეს — შენი გასამრჯელოს პროცენტები საკავშირო სპორტსახკომის ბიუჯეტში ჩაირიცხოსო. მე ტკიცე უარი განვაცხადე. მსურდა, მთელი ვალუტა მხოლოდ საქართველოს სპორტს მოხმარებოდა და ასეც ვუთხარი. ბოლოს დამთანხმდნენ. პოლონელების განაწყენებას თუ მოერიდნენ.

● **სიტყვამ მოიტანა და თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით ბევრს გიხდიან?**

— საკმაოდ. ყოველ შემთხვევაში, მე კმაყოფილი ვარ. თანაც ამ თანხის 40% ჩემი სურვილით საქართველოს განათლების სამინისტროს ფონდში ირიცხება. ჩვენ ბავშვებსაც სჭირდებათ ისეთი სპორტული დარბაზები, როგორიც პოლონეთში აქვთ.

● **ოჯახი როგორ ეგუება თქვენს ხანგრძლივ მივლინებას?**

— ეგუება, რადგან იციან — მე საჭირო საქმეს ვაკეთებ.

● **ერთი შეკითხვაც: გავიგე, რომ შვეციაში „პანი ლორდი" შეგარქვეს. რატომ?**

— რატომ და ჩემი გრძელი გვარი გამოთქმა კი არა, დაწერაც უჭირთ. უცხოეთში, იმათთვის ეს ეხის გასატეხი ჰგავს. თანაც ისინი ჩემს გვარს ასე გამოთქვამენ: „ლორდკიპანიძე". ჰოდა, შემოკლეს და დამარქვეს „პანი ლორდ".

...ირინა ლორთქიფანიძე ახლა უკვე პოლონეთშია. გაიმართება ბარსელონის ოლიმპიადა და ბათუმელებს კიდევ ერთი ოლიმპიელი შეემატებათ, ამჯერად, როგორც მწვრთნელი.

ჩვენც რაღა დაგვრჩენია. წარმატებები ვუსურვოთ „პანი ლორდს".

კობა მუხრანელი

სურათზე: ირინა ლორთქიფანიძე.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

კუჟე — კოსტა-რიკის ნაკრების მწვრთნელი

კოსტა-რიკის ნაკრების ფეხბურთის მესვეურები ძალზე კმაყოფილი იყვნენ, ცნობილი იუგოსლაველი მწვრთნელის ბორა მილუტინოვიჩის მუშაობით, რომლის ხელმძღვანელობითაც ეს გუნდი კარგად გამოვიდა მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატზე. მას შემდეგ, რაც მილუტინოვიჩის კონტრაქტი დასრულდა, ნაკრების ხელმძღვანელობა შეუდგა მისი შემცვლელის მონახვას. ასეთად მათ მიიჩნიეს ისევ იუგოსლაველი სპეციალისტი, 37 წლის იოსიპ კუჟე. კუჟეს არაერთი ევროპული კლუბისაგან ჰქონდა მიწვევა, მაგრამ მაინც კოსტა-რიკაში მუშაობა არჩია.

„ბოჟკოვი საუკეთესო მწვრთნელია"

იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში გენუის „სამპდორიის" ფეხბურთელთა გუნდის ნახევარმცველმა ალექსეი მიხაილიჩენკომ თქვა, რომ ამ გუნდის მწვრთნელი, იუგოსლაველი ვუიადინ ბოჟკოვი ნამდვილად საუკეთესო სპეციალისტია და მის მიერ ესოდენ კარგი ანსამბლის შექმნა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის.

მიხაილიჩენკომ თქვა, რომ გაძლიერებით სწავლობს იტალიურ ენას, ჯერჯერობით კი ბოჟკოვს... სლავური სიტყვებით ესაუბრება.



ასე ფიქრობს სანჩესი

უგო სანჩესი, მადრიდის „რეალის" განთქმული მექსიკელი ფეხბურთელი, გუნდის მარცხს ასე ხსნის:

— დიახ, გუნდი, რომელიც ზედიზედ ხუთჯერ იყო ესპანეთის ჩემპიონი, ამ სეზონში სერიოზულ წარუმატებლობას განიცდის. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ჩვენ ძალიან შემოგვიტია არა მარტო ესპანეთის, არამედ მთელი მსოფლიოს სპორტულმა პრესამ.

თუმცა ლიცენზია არა აქვს

ის ბერძენი ექსპერტები, რომელთაც არ მოსწონთ პირეოსის „ოლიმპიაკოსში" ოლეგ ბლოხინის მუშაობა, ხაზს უსვამენ იმ ამბავს, რომ კიეველს არა აქვს მწვრთნელის ლიცენზია, ე. ი. უმაღლესი სპეციალური განათლება.

იმასაც წერენ, რომ ბლოხინი, როგორც მწვრთნელი, ძალიან გავს თავის ყოფილ მასწავლებელ ვალერი ლობანოვსკის, ეს ეტყობა, ერთდროულად ქებაც არის და... ძაგებაც!

კორეელებიც, იაპონელებიც

სამხრეთმა კორეამ ოფიციალურად წამოაყენა თავისი კანდიდატურა მსოფლიოს 2002 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის გასამართავად. იგივეს აპირებს იაპონიაც, რომელიც უახლოეს ხანებში ააშენებს ახალ თანამედროვე სტადიონს (80 ათასი მაყურებლისთვის) იაპონელები თვლიან, რომ ფიფა სწორედ მათ მიანიჭებს უპირატესობას.

„მილანის" დიდებული კოლექცია

ევროპის ყველაზე უფრო ტიტულოვან კლუბად ახლა „მილანი" ითვლება. ამდენი ჯილდო ფეხბურთის ისტორიაში მართლაც არავის მოუპოვებია. თქვენ თვით განსაჯეთ: გუნდმა ოთხჯერ მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, ორჯერ — თასების მფლობელთა თასი, ორჯერ — საკონტინენტთაშორისო თასი, ორჯერ კი — ევროპის ქვეყნების სუპერთასი.

ფიშერი 48 წლისაა

9 მარტს მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონი, 1975 წლიდან კი ექსჩემპიონი, რობერტ ჯეიმს ფიშერი 48 წლისა გახდა.

1972 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის წოდება მოიპოვა, რობერტ ფიშერს, ამერიკელს, არცერთი სატურნირო თუ სამატჩო პარტია აღარ უთამაშია.

რას ნიშნავს ეს?

ეს უდიდესი ექსპერტების: კასპაროვის, კარპოვის, გნებავთ, კორჩნოისა და სპასკის აზრით, იმას ნიშნავს, რომ ფიშერი „ისტორიის კუთვნილებაა" და აღარასოდეს დაუბრუნდება პრაქტიკულ ჭადრაკს. ცხადია, ექსპერტების მსჯელობა ლოგიკურია, უპირველეს ყოვლისა, ციე განსჯას ემყარება. არ შეიძლება ასეთი რანგის ექსპერტები ცდებოდნენ!

მაგრამ გულშემატკივარი იმის გულშემატკივარია, რომ მას გონების კი არა, გულის კარნახი ამოძრავებს. გულშემატკივარს კი ერთი რამ სურს — ფიშერი დაუბრუნდეს ჭადრაკს. სხვა საკითხია, თუ რამდენად სწორი და რეალური იქნება დაბრუნება... 19 წლის შემდეგ.

გულშემატკივარი კი იცდის და არ ჰკარგავს იმედს. მით უმეტეს, რომ იმედებს ძალიან ხშირად აძლევენ. ჯერ იყო და ფიდე-ს პრეზიდენტი, პროფესორი მაქს ეივე ირწმუნებოდა, ყველაფერს გავაკეთებ, რათა ბობი კვლავ ჭადრაკის დაფას მიუჯდესო. ეივე ისე გამოეთხოვა ამ ქვეყანას, რომ მიზანს ვერ მიაღწია. როცა იგი პრეზიდენტის პოსტზე ისლანდიელმა ფრიდრიკ ოლაფსონმა შეცვალა, ახლა მან მოინდომა ჭირვეული ბობის დაბრუნება, პასუხად კი ის მიიღო, რომ „პასადენელ განდეგილს" საერთოდ არ სურდა ფიდე-სთან საუბარი, რადგან ამ ორგანიზაციამ 1975 წელს წოდება ჩამოართვა და დაუმსახურებლად ანატოლი კარპოვს გადასცა. ახალმა პრეზიდენტმა, ფილიპინელმა ფლორენსიო კამპომანესმა მისცა გულშემატკივრებს დიდი დაპირებები, ერთი გადარჩევის დრო რომ დაუდგა, მერე კიდევ დაპირდა, მეორე გადარჩევის წინ, კიდევ...

ვისთან შეხვედრის პროექტი არ წარმოიშვა, ვისთან მატჩზე აღარ იყო ლაპარაკი: კარპოვთან, მეკინგთან, კორჩნოისთან, კინტეროსთან, გლიგორიჩთან, ტიმანთან, ბაიასასთან, სულ ახლახან კი ჰიუბნერთან.

არცერთი ცდიდან არაფერი გამოვიდა, თუმცა, ზოგჯერ თამაშის დაწყებას თითქოს აღარაფერი აკლდა.

რას იზამ, ექსპერტები, როგორც ყოველთვის, მართალნი არიან, იმიტომაც არიან ექსპერტები...

გულშემატკივარი კი იცდის და იმედს არ კარგავს. გულშემატკივარიც ხომ ამიტომ არის გულშემატკივარი!

ზივი ბამრეკელი

ესპანეთის საერთაშორისო ტურნირი

ჩემპიონი, მაინც ჩემპიონია

ლინარესი. ესპანეთის ამ საკურორტო ქალაქში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრების მეთერთმეტე ტურში სპილმენმა დაამარცხა ელვესტი, სალოვმა — ბელიავსკი. ყაიმით დამთავრდა გელფანდ-იუსუპოვის, კასპაროვ-ანანდის, ტიმან-ლიუბოევიჩის შეხვედრები. ივანჩუკ-გურევიჩისა და კამსკი-კასპაროვს არ დაუმთავრებიათ ბრძოლა. მეათე ტურის გადადებულ პარტიაში სალოვმა მოუგო კამსკის. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა გარი კასპაროვმა წარუმატებლად დაიწყო ასპარეზობა, ნელ-ნელა გამოასწორა მდგომარეობა და ახლა მისთვის ჩვეულ პოზიციაზე დამკვიდრდა.

თერთმეტი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: კასპაროვი — 7,5 ქულა, ივანჩუკი — 7 (1 გადადებული პარტია), ბელიავსკი — 7 იუსუპოვი, სპილმენი — 6,5-6,5, ანანდი, გელფანდი, ლიუბოევიჩი, ტიმანი, სალოვი — 5,5, გურევიჩი — 5 (1), კარპოვი — 4 (1), ელვესტი — 3, კამსკი — 1,5 (1).

ნანინი, „ბენეტონი" და სამომავლო გეგმები

ალესანდრო ნანინიმ გადაწყვიტა დაუბრუნდეს „ფორმულა 1" რბოლებს 1992 წლის სეზონის დასაწყისისთვის. მან იცის, რომ მოელის რამდენიმე მტკივნეული ოპერაციის გადატანა, რათა კვლავ შეძლოს სარბოლო ავტომობილის მართვა.

31 წლის იტალიელმა ავტომრბოლმა უკვე გამოავლინა გამძლეობის არაჩვეულებრივი უნარი 11-საათიანი ოპერაციის გადატანით. ამ მძიმე ტრავმის მიუხედავად, მისი მიზანია, ხელახლა მიიღოს სარბოლო ლიცენზია.

ნანინი, რომელიც ფლორენციის საავადმყოფოდან ქალაქ სიენაში, საკუთარ სახლში, დაბრუნდა, ოპტიმისტურად უყურებს მომავალს. მან განაცხადა: „მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ დავუბრუნდე „ფორმულა 1"-ს 1992 წელს. რეაბილიტაციის პროცესი დიდ დროს მოითხოვს — 8-10 თვეს, მაგრამ მე მზად ვარ ყველაფერი მოვითმინო".

ეს ამბავი გაახარებს „ბენეტონს", თუმცა ჯერ კიდევ საეჭვოა შეძლებს თუ არა ნანინის ტრავმირებული ხელი ფუნქციების სრულ აღდგენას.

ნანინი უკვე ესაუბრა თავისი ოჯახის წევრებს იმის თაობაზე, რომ წელს იგი ეცდება მიუჯდეს სარბოლო ავტომობილის საჭეს, რათა დაიბრუნოს მართვის სუპერ-ლიცენზია. რა თქმა უნდა, მას „ბენეტონიც" დაეხმარება.

იტალიელმა პილოტმა საავადმყოფოს პალატაში ტელევიზორით უყურა იაპონიის „გრან პრის" შარშანდელ გათამაშებას და თქვა: „შედეგმა ძალიან გამახარა, მაგრამ, ამავე დროს, ვწუხდი, რომ იქ არ ვიყავი". მან მადლობა გადაუხადა თავის კოლეგებს: ნელსონ პიკეს და რობერტო მორენოს, აგრეთვე მთელ გუნდს პატივისცემისა და ყურადღებისთვის.

ნანინისთვის სრულიად მოულოდნელი იყო ის მხარდაჭერა, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს თანამემამულეებმა და უცხოელებმა.

— ნუთუ ასეთი პოპულარული ვარ? — გაკვირვებით იკითხა მან, — ასეთ ძნელ დროს პატივისცემის ყოველნაირი გამოხატვა მისასალმებელია. ეს მე მორალურად მეხმარება. მადლობელი ვარ მხარდაჭერისთვის.

„ბენეტონის" შემადგენლობა წლევანდელ სეზონში მკითხველისთვის უკვე ცნობილია. რობერტო მორენომ სწორედ იაპონიის ტრასაზე „დადგმული" ბრწყინვალე სპექტაკლის დახმარებით მიიღო „ფორმულა 1" კლასში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი.

31 წლის მორენომ, რომელიც მონაკოში ცხოვრობს, თქვა: „როცა გავიგე, რომ სანდრო უკეთესადაა და კარგ ხასიათზეა, იმედი მომეცა, რომ მალე გამოჯანმრთელდება, ხოლო, როცა მან რბოლაზე საუბარი დაიწყო, ეს მთელი გუნდისთვის სასიხარულო ცნობა იყო".

ალესანდრო ნანინი აგვისტოში აპირებს ტესტირების დაწყებას. სპორტსმენი ამბობს: „შვიდი თვე გავიდა ოპერაციის შემდეგ. ხელს უკვე კარგად ვამოძრავებ, მაგრამ მხოლოდ მაშინ განვაახლებ რბოლას, როცა დავრწმუნდები, რომ ასი პროცენტით მზად ვარ. თუ ეს არ მოხერხდება, მივატოვებ სპორტს და მივხედავ საოჯახო საკონდიტრო საქმეს ქალაქ სიენაში".

თუ დავუჯერებთ ნელსონ პიკეს, რომელმაც გუნდში მიიპატიჟა მეგობარი და თანამემამულე რობერტო მორენო, ალესანდრო ნანინის კარიერა „ფორმულა 1" კლასში დასრულდა.

მსოფლიო სამგზის ჩემპიონი პიკე, ეჭვობს, რომ ნანინი ასპარეზობას შეძლებს. მას არ სჯერა ალესანდროს სრული გამოჯანმრთელებისა. — მჯერა, რომ მას კვლავ სურს ასპარეზობა, მაგრამ არა მგონია, იგი „ფორმულა 1"-ს დაუბრუნდეს — განაცხადა პიკემ.

პიკეს მიერ ნანინის მდგომარეობის ამ გულახდილ შეფასებას წუხილის ელფერი დაჰკრავს.

როცა პიკემ სამწლიანი შესვენების შემდეგ პირველად გაიმარჯვა იაპონიის „გრან პრის" გათამაშებაში, მან ეს წარმატება თავის თანაგუნდელს მიუძღვნა.

„ბენეტონმა" რომ შარშან მესამე ადგილი დაიკავა კონსტრუქტორთა პირველობაში, ეს ნანინის დამსახურებაცაა. მან 21 ქულა მოაგროვა. ალესანდრო მეორე იყო „ჰოკენზაიმზე", „იმოლასა" და „ხერესზე" კი — მესამე.

პიკე ამბობს: „ეს ისეთი დიდი უბედურება არაა, როგორც სხვებს ჰგონიათ. სანდროს ბევრი საქმე აქვს. იგი კარგი ბიზნესმენია".

ნანინის ადგილი გუნდში დაიკავა მორენომ, რომელმაც თქვა: „სამწუხარო ამბავია. ყველას ენატრება ალესანდრო, მაგრამ, როგორც ყველა სხვა გუნდში, აქაც უნდა გაგრძელდეს მუშაობა. მთელმა გუნდმა მე ამირჩია ნანინის შემცვლელად და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის".

პიკე რომ თავის ძველ მეგობარს მიიპატიჟებდა გუნდში, გასაკვირი არაა, რადგან მან მთავარი როლი ითამაშა მორენოს სპორტულ კარიერაში.

პიკემ არა მარტო ავტომობილის მართვა ასწავლა მას, არამედ აჩვენა ისიც, თუ როგორ უნდა მიიქციოს სპონსორების ყურადღება, რომელიც ასე საჭიროა სპორტის ამ ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ სახეობაში. მისი რჩევით გადავიდა მორენო ინგლისში უფრო დიდი გამოცდილების მისაღებად.

მაგრამ მაშინ, როცა პიკე განაგრძობდა მსოფლიოს „დაპყრობას" „ფორმულა 1"-ში, მორენო არ ჩანდა შარშანდელი სეზონის იმ მომენტამდე, როცა „ბენეტონმა" მიიწვია ბოლო ორ ეტაპზე საასპარეზოდ. ახალი კონტრაქტი მორენომ ოჯახთან და მეუღლესთან ერთად აღნიშნა მშობლიურ ქალაქში.

მართალია, იგი მოხარულია „ბენეტონის" მიწვევით, მაგრამ მას რაღაც აწუხებს და ეს რაღაც ავტომრბოლების ურთიერთდამოკიდებულებაა: „მე და ნელსონი მეგობრები ვართ, მაგრამ ტრასაზე ყველა პილოტი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ, ორივე ერთად, გუნდისთვის ვიმუშავებთ".

მორენომ განაცხადა, რომ გუნდში თანაბარი პირობებია შექმნილი: „რასაკვირველია, ნელსონი უფრო გამოცდილია, მაგრამ გუნდი დამპირდა, რომ შეჯიბრების პერიოდში არც ერთს არ ექნება უპირატესობა. მჯერა, სწრაფად ავითვისებ ყველაფერს, ნელსონიც დამეხმარება და, იმედია, ერთად კარგ შედეგს მივაღწევთ".

ბრაზილიელმა პილოტმა მადლობა გადაუხადა ჯონ ბერნარდს, „ბენეტონის" ტექნიკურ დირექტორს და ფლავიო ბრიატორეს მიწვევისთვის. ბედნიერმა ავტომრბოლმა განაცხადა: „ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი პერიოდია. წინ სიძნელეებით აღსავსე ორი წელია. ახლა შემიძლია გავემგზავრო ბრაზილიაში და დავისვენო, რადგან ევროპაში ვბრუნდები იმ გუნდთან, რომელიც ტექნიკურად საუცხოოდაა მომზადებული. ამიტომაც მსიამოვნებს ჯონ ბერნარდთან მუშაობა. ის ერთ-ერთი საუკეთესო ინჟინერია მსოფლიოში. მე ბევრის სწავლა შემიძლია მისგან. გაიხსენეთ, „მაკლარენის" შედეგები, „ფერარის" „გამოცოცხლებაც" მისი დამსახურებაა და ახლა ჯერი „ბენეტონზეა".

მოამზადა **დავით ჩუბინიძემ**

მარტინა ნავრატილოვას ორი მიზანი

გაზეთ „ჩესკოსლოვენსკი სპორტის" კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა მარტინა ნავრატილოვას:

● **როგორია თქვენი კალენდარი 1991 წლისათვის?**

— დაახლოებით ისეთივე, როგორიც შარშან იყო. გარდა პირად შეჯიბრებებში თამაშისა, გამოვალ წყვილთა შორისაც. მთელი წლის მანძილზე ჩემი პარტნიორი იქნება შრიივერი, მაგრამ „ფლეშინგ მედოუში" (აშშ-ის ღია ჩემპიონატი) ძალებს ვცდი შტეფი გრაფთან ერთად. ამ წლისთვის ორი მიზანი დავისახე — გავიმარჯვო უიმბლდონში (ეს ნავრატილოვას მეათე გამარჯვება იქნება ამ ყველაზე ავტორიტეტულ შეჯიბრებაში) და წარმატებას მივაღწიო აშშ-ის ღია ჩემპიონატში.

● **თქვენ შარშან რამდენიმე შეხვედრა წააგეთ. რატომ?**

— ხანდახან წაგება ყველას ეპატიება. ამჯერად მიზეზი სამი იყო: პირველი ჯანმრთელობის მდგომარეობა გახლავთ. ზოგჯერ ძალების აღდგენას ვერ ვასწრებდი. მეორე მიზეზად ჩემი ფსიქოლოგიური განწყობა შეიძლება ჩაითვალოს, მესამე კი ის, რომ ზოგჯერ მეტოქეები, უბრალოდ, ჩემზე უკეთ თამაშობდნენ.

● **გასული წლის საერთო შედეგებზე რას იტყვით?**

— შედეგით, შეიძლება ითქვას, კმაყოფილი ვარ. მე მივაღწიე დასახულ მიზანს და უიმბლდონში მეცხრედ გავიმარჯვე. ბედნიერი ვარ, რომ ოპერაციის შემდეგ გამოვჯანმრთელდი, მე ხომ მთელი სამი წლის მანძილზე მუხლებში ტკივილს ვგრძნობდი.

● **ამას წინათ პრაღის გამომცემლობა „ოლიმპიამ" გამოაქვეყნა თქვენი წიგნი „მე — მარტინა". ავტოგრაფების ათასობით მხურველს რა ვუყოთ?**

— სიამოვნებით მოვუწერდი ყველას ხელს, საშუალება რომ მქონდეს.

კალეიდოსკოპი

მიტჩელი მიტჩელის წინააღმდეგ

იტალიის ქალაქ აოსტაში გაიმართა მატჩი მსოფლიო პირველობაზე კრივში მსუბუქ წონაში („უორლდ ბოქსინგ ასოშიეიშნის" ეგიდით). ერთმანეთს შეხვდნენ მოგვარეები — მსოფლიო ჩემპიონი ბრაიან მიტჩელი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და ამ ტიტულის პრეტენდენტი ფრენკ მიტჩელი (აშშ). 12 რაუნდიან ბრძოლაში ქულებით ჩემპიონმა გაიმარჯვა.

აზიური თამაშები ხიროსიმასა და ბანგკოკში

აზიური თამაშები 1994 წელს ხიროსიმაში ჩატარდება — ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს აზიის ქვეყნების სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებმა. რაც შეეხება 1998 წლის თამაშებს, მათი მოწყობა ბანგკოკს დაეკისრა. ასეთივე პრეტენზია ჰქონდა ჯაკარტასა და ტაიბეის (ტაივანი), მაგრამ უპირატესობა მაინც ბანგკოკს მიენიჭა, რომელმაც უკვე სამჯერ — 1966, 1970 და 1979 წლებში კარგად გაართვა თავი ამ ამოცანას.

გოგოებში — მაგდალენა მალეევა

ჩოგბურთის მსოფლიო ფედერაცია აქვეყნებს არა მარტო უძლიერესი ქალებისა და ვაჟების რეიტინგს, არამედ გოგოებისა და ჭაბუკებისაც.

ამჟამად გოგოებს შორის პირველ ადგილზეა სამ დას შორის უმცროსი — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი). იგი უსწრებს ჰაბსუდოვასა (ჩეხოსლოვაკია) და ში-ტინ-ვანს (ტაივანი).

ჭაბუკებში პირველ ადგილზეა იტალიელი გოდენძი.

სან-ბერნარდინოში

იტალიის ქალაქ სან-ბერნარდინოში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი 80 დიდოსტატის, ოსტატის და ოსტატობის კანდიდატის მონაწილეობით (შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად).

7-7 ქულით პირველი-მესამე ადგილები გაიყვეს ცნობილმა დიდოსტატებმა ჰორტმა, პეტურსონმა (ისლანდია) და საერთაშორისო ტურნირების დებიუტანტმა ლენინგრადელმა ოსტატმა ჩუდინოვსკიმ. საყურადღებოა, რომ 44 წლის ელექტრონინჟინერი ჩუდინოვსკისი ოდესღაც ვიქტორ კორჩნოის მოწაფე იყო და ახალგაზრდობაში დიდ იმედებს იძლეოდა. მაშინ იგი ხშირად ხვდებოდა მსოფლიოს მომავალ ჩემპიონ ანატოლი კარპოვს, რომელთანაც ფრიად საპატიო შედეგებიც აქვს: ორი მოგება, ორი ყაიმი და ორი წაგება.

უკეთესი კოეფიციენტის გამო სან-ბერნარდინოში ჩუდინოვსკისს პირველი პრიზი მიეკუთვნა.

კალეიდოსკოპი

„სპორტლოტო"

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1991 წლის მე-9 ტირაჟების შედეგები:

„სპორტლოტო 6 45"-დან: დაშვებულია 1.284.935 ვარიანტი. 6 ნომრის გამოცნობისთვის (2) მოგება 15.245 მანეთია, ხუთისთვის (33) — 2.664, ოთხისთვის (1.571) — 142, სამისთვის (51) — 3 (სამი ნომრის გამოცნობისთვის მოგება გაიცემა მხოლოდ მე-9 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთებისთვის).

საქართველოში: დაშვებულია 31.498 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—53.

„სპორტლოტო 5 36"-დან: დაშვებულია 18.938.931 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (94) მოგება 6.044 მანეთია, ოთხისთვის (11.852) — 90, სამისთვის (298.673) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 444.856 ვარიანტი: 5—3 (თბილისი), 4—260, 3—7.325.

მე-9 და ამავე ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 23 მარტიდან 23 აპრილის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი"

„1-C" სპეცტირაჟის შედეგები

(5-7 მარტი)

1—X, 2—X, 3—1, 4—X, 5—2, 6—X, 7—1, 8—2, 9—X, 10—1, 11—X, 12—X, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

მე-10 ტირაჟის შედეგები

(8-10 მარტი)

1—X, 2—1, 3—2, 4—1, 5—X, 6—1, 7—2, 8—2, 9—1, 10—X, 11—1, 12—X, 13—X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 1991 წლის მე-9 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.002.655 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (41) მოგება 1.220 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1.715) — 58, 11 შედეგის გამოცნობისთვის (20.594) — 17.

საქართველოში: დაშვებულია 140.511 ვარიანტი. 13—3, 12—83, 11—869.

მე-9 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 23 მარტიდან 23 აპრილის ჩათვლით.

საკავშირო ჩემპიონატი

11 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ტურის 3 მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის: „დინამო" (მოსკოვი) — „შახტიორი" (დონეცკი) 1:1, „დინამო" (კიევი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:3. უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" შინ დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი" — 2:1.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი და გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობენ საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეს, ალპინისტურ კლუბ „კავკასიონის" პრეზიდენტს გივი ქართველიშვილს დედის

ნელი ჯავახიშვილ-ქართველიშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რაგბის კავშირი და საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია თანაუგრძნობენ საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაციის პრეზიდენტს თენგიზ რუხაძეს მამის

სერგო რუხაძის

გარდაცვალების გამო.

მრავალდარგოვანი ფირმა „მერცხალის" (ყოფილი ტრესტი „საქსპორტრემშენი") თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ პიმენის ძე პირველი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ვ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი" — 93-97-26, „ჩარდახი" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" სტამბა. 380009, თბილისი, ვ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხაზარაძის, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20